საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ზემო ოროზმანი



ზემო ოროზმანი, სოფელი დმანისის მუნიციპალიტეტის ქვემო ოროზმანის თემში (ქვემო ქართლის მხარე), დმანისის პლატოზე. ზ. დ. 1270 მ, დმანისიდან 5 კმ. 901 მცხ. (2002). ზ. ო-ში შემორჩენილია XII–XIII სს. ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლი – ერთნავიანი მომცრო ეკლესია. ეკლესია დგას შემაღლებულ კლდეზე. კლდეში გამოკვეთილი დარანიდან ერთი გვირაბი თვით ეკლესიაში ადის, მეორე – მოშორებით, მაღალ მთაზე. ეკლესიის გარშემო, სასაფლაოზე ქართულწარწერიანი საფლავის ქვებია.

ლიტ.: მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი ლ., არქეოლოგიური ექსკურსიები მაშავრის ხეობაში, თბ., 1941.

დ. ბერძენიშვილი